აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

2021-2022 წლების
სამოქმედო გეგმა

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

UNDP

სამოქმედო გეგმა შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მისი ავტორი და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

კომიტეტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი (შემდგომ - კომიტეტი) ემსახურება ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მმართველობის სისტემის დამკვიდრებას და მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვას. ამ მიზნების უზრუნველსაყოფად კომიტეტი შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისთვის ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივებს, ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და ზედამხედველობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობას. კომიტეტი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპით და უზრუნველყოფს საკუთარ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას.

სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კომიტეტის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს 2021-2022 წლებისთვის. გეგმით განსაზღვრული აქტივობები ეფუძნება კომიტეტის წარსულ გამოცდილებას, არსებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. ამასთან, გეგმა ითვალისწინებს სათანადო მოქნილობის საჭიროებასაც. კონკრეტულ გამოწვევებზე კომიტეტის მიერ ეფექტიანი რეაგირების მიზნით, გეგმაში მოცემულია 2022 წლის დასაწყისში სამოქმედო გეგმის განახლების შესაძლებლობაც.

კომიტეტს ჰყავს ხუთი წევრი, რომელთა შეუფერხებელ და ეფექტიან საქმიანობას ემსახურება კომიტეტის აპარატი ხუთი თანამშრომლის შემადგენლობით. კომიტეტი საქმიანობას წარმართავს და დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს კომიტეტისა და კომიტეტის აპარატის შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლადიმერ მგალობლიშვილი - კომიტეტის თავმჯდომარე
2. მედეა ვასაძე - კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
3. დავით ბაციკაძე - კომიტეტის წევრი
4. ფრიდონ ფუტკარაძე - კომიტეტის წევრი
5. ირაკლი ჭეიშვილი - კომიტეტის წევრი.

1. პაატა კეშელავა - კომიტეტის აპარატის უფროსი
2. მერაბ ბოლქვაძე - კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე
3. ბადრი შარაძე - კომიტეტის აპარატის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
4. ლალი აბსავა - კომიტეტის აპარატის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
5. ზურაბ თავბერიძე - კომიტეტის აპარატის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

კომიტეტის სტრატეგია

კომიტეტმა 2021-2022 წლებისთვის შემდეგი სტრატეგიული მიზნები დაისახა:

I. საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება
II. საზედამხედველო/საკონტროლო საქმიანობის გაძლიერება
III. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა
IV. გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესება
V. ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება.

სტრატეგიული მიზანი 1:
კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომიტეტისა და მისი წევრების აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების, ასევე, სხვა გამოწვევების დაძლევის მიზნით.

საკანონმდებლო ინიციატივის გამოყენებასთან ერთად, კომიტეტის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სხვა სუბიექტების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას (განსაკუთრებული/უნივერსალური) მიკუთვნებულ სფეროებში წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობას, მათ განხილვას, რაც, საბოლოო ჯამში, მოემსახურება, ერთი მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი რეფორმების საკანონმდებლო მხარდაჭერას, ხოლო, მეორე მხრივ, გამართული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას.

სტრატეგიული მიზანი 2:
საზედამხედველო/საკონტროლო საქმიანობის გაძლიერება

კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად, შეიმუშავებს ეფექტიანი ზედამხედველობის სისტემას, რისთვისაც აქტიურად გამოიყენებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ ინსტრუმენტებს.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააძლიერებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებების საბიუჯეტო მონიტორინგს. საზედამხედველო გეგმის ნაწილია ფინანსური ზედამხედველობის აქტივობები. კომიტეტი რეგულარულად მოითხოვს შესაბამისი უწყებებისაგან ინფორმაციას საბიუჯეტო საკითხებზე; გეგმიდან გადახვევის შემთხვევაში, კომიტეტი დანიშნავს შესაბამის განხილვებს და გასცემს საჭირო რეკომენდაციებს, რაც ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გატარებას ემსახურება.

სტრატეგიული მიზანი 3:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომიტეტის დებულების შესაბამისად, კომიტეტის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას, გარდა კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო/საკონტროლო ფუნქციებისა, წარმოადგენს სამანდატო, საპროცედურო და სხვა სპეციფიკური უფლებამოსილებების განხორციელება. კომიტეტი მუდმივ მონიტორინგს გაუწევს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესების დაცვას.

სტრატეგიული მიზანი 4:
გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესება

კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობასა და მასში საზოგადოების ჩართულობის გააქტიურებას. ამ თვალსაზრისით, კომიტეტის საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, სამეცნიერო/აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლებთან. ჩართულობის უზრუნველსაყოფად კომიტეტი რეგულარულ შეხვედრებს გამართავს აღნიშნულ პირებთან, რათა საკუთარი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გაითვალისწინოს საზოგადოებისა და ექსპერტული წრეების აზრი. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გზით, კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა საზოგადოების საჭიროებებზე იქნება მორგებული. კომიტეტი უზრუნველყოფს იმ კანონპროექტების საჯარო შეხვედრების ფორმატში განხილვას, რომელთა მიმართაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. ამასთან, კომიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების სიღრმისეული და ხარისხიანი შესწავლისა და დამუშავებისთვის კომიტეტი უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 47-ე მუხლით გათვალისწინებული საკონსულტაციო საბჭოს შექმნასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობისა და კომიტეტის სამოქმედო გეგმის მიხედვით სხვადასხვა დასრულებული, თუ მიმდინარე აქტივობის შესახებ. ასევე საჭიროა ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება უმაღლესი საბჭოს როლისა და მის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ. საზოგადოებისა და მედიის მუდმივი ინფორმირების მიზნით, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე რეგულარულად აისახება ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ. დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება, ადვილად მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, მათ შორის, სოციალური არხების მეშვეობით. ამავდროულად, კომიტეტი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით გაწერილ ვალდებულებებს.

სტრატეგიული მიზანი 5:
ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება

კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების და ამოცანების ოპტიმალური გადანაწილება (მათ შორის, არსებული სამუშაო აღწერილობების განახლება), მუშაობის შეფასების და წახალისების მექანიზმების დანერგვა. კომიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას ასევე ხელს შეუწყობს კომიტეტის წევრების მიერ ცალკეულ თემებზე პასუხისმგებლობის აღება და თემატური მომხსენებლის ინსტრუმენტის შემოღება.

კომიტეტი შეიმუშავებს მკაფიო ხედვას კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გასაძლიერებლად და გაზრდის ძალისხმევას აპარატის თანამშრომელთა საჭირო ტრენინგებით, გამოცდილების გაზიარებისა და სტაჟირების შესაძლებლობებით, რაც დადებითად აისახება კომიტეტის საქმიანობის შედეგებზე. ამასთან, დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაციით, კომიტეტი უზრუნველყოფს აპარატის თანამშრომლების მონაწილეობას შესაბამის შეხვედრებში, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, ან დონორთა დახმარებით, კომიტეტმა შესაძლებელია კონკრეტულ თემებზე სამუშაოდ დაიქირავოს სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტებიც, რომლებიც იმუშავებენ კომიტეტის აპარატთან ერთად და ხელს შეუწყობენ კომიტეტის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებას.

წინამდებარე ორწლიანი სამოქმედო გეგმა კომიტეტმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით შეიმუშავა. კომიტეტის თავმჯდომარის, წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა მიერ შემუშავებული პროექტი შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენის მიზნით დაინტერესებულ მხარეებსაც გადაეცათ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სტრატეგიული მიზნები და თითოეული მიზნის ქვეშ გაწერილი აქტივობები დეტალურად იქნა განხილული საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტისა და ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ორგანიზებით 2021 წლის 22 ივნისს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრაში, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე უძღვებოდა, აღმასრულებელი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კომიტეტმა გაიზიარა მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონებში შესაძლო ცვლილების შეტანის თაობაზე, რაც სათანადოდ აისახა კომიტეტის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრაზე გამოითქვა სამომავლო თანამშრომლობისა და სამუშაო პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობის სურვილი. კომიტეტი მომავალშიც უზრუნველყოფს ფართო საზოგადოების მონაწილეობას საკუთარ საქმიანობაში და რეგულარულად წარუდგენს საზოგადოებას ინფორმაციას წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის
2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული მიზანი I: საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება

№	განსახორციელებელი აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		შესრულების ინდიკატორი	შესრულების ვადა	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
1.1	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტის განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე	კანონპროექტი განხილულია	2021 წლის საშემოდგომო სესია	კომიტეტის დასკვნა კომიტეტის სხდომის ოქმი
1.2	„ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტის და „საავტომობილოს გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება/ განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	კანონპროქტი განხილულია	2021 წლის საშემოდგომო სესია	კომიტეტის დასკვნა, კომიტეტის სხდომის ოქმი
1.3	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	კანონპროექტი განხილულია	2021 წლის საშემოდგომო სესია	კომიტეტის დასკვნა
1.4	„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა/განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	კანონპროექტი განხილულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა, კომიტეტის სხდომის ოქმი
1.5	„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე	კანონპროექტი განხილულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა, კომიტეტის სხდომის ოქმი
1.6	„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	კანონპროექტი განხილულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა, კომიტეტის სხდომის ოქმი
1.7	„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	კანონპროექტი განხილულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა, კომიტეტის სხდომის ოქმი
1.8	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის შემუშავება/განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე	კანონპროექტი განხილულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა, კომიტეტის სხდომის ოქმი

1.9	„მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	კანონპროექტები განხილულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა, კომიტეტის სხდომის ოქმი
1.10	„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	კანონპროექტი განხილულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა, კომიტეტის სხდომის ოქმი
1.11	უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი აუცილებელი ცვლილებების შესახებ წინადადებების მომზადება და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	რეგლამენტის პროექტი განხილულია	2021-2022 წელი	კომიტეტის დასკვნა კანონპროექტი
1.12	სამუშაო ჯგუფის შექმნა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონებში შესაძლოს ცვლილებების განხორციელების თაობაზე საკითხის შესწავლისა და დამუშავების მიზნით	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	სამუშაო ჯგუფი შექმნილია, შეხვედრები ჩატარებულია	2022 წლის საგაზაფხულო სესია	სამუშაო ჯგუფის წევრთა სია, შეხვედრების ოქმები, რეკომენდაციები
1.13	შეხვედრების ჩატარება დაინტერესებულ პირებთან (სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან) საკანონმდებლო საჭიროებების იდენტიფიცირებისა და პრიორიტეტების დასახვის მიზნით	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარებულია, წინადადებები დამუშავებულია და რეკომენდაციები შემუშავებულია	საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების პირველი 2 კვირის განმავლობაში	საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილე პირთა სია, შეხვედრების ოქმები, რეკომენდაციები
1.14	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელების მიზნით საკანონმდებლო აქტების პროექტების განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	განხილული ინიციატივები	2021-2022 წელი	კომიტეტის დასკვნა
1.15	კომიტეტში შემოსული საკანონმდებლო აქტებისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილებების პროექტების, საკანონმდებლო წინადადებების განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	განხილული პროექტები და საკანონმდებლო წინადადებები	2021-2022 წელი	კომიტეტის დასკვნა

სტრატეგიული მიზანი II: საზედამხედველო/საკონტროლო საქმიანობის გაძლიერება

№	განსახორციელებელი აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		შესრულების ინდიკატორი	შესრულების ვადა	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
2.1	კომიტეტის გამგებლობისთვის მიკუთვნებულ სფეროში უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადაში შესრულების შემოწმება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ზ. თავბერიძე	ვალდებულებების შესრულება შემოწმებულია, ინფორმაცია ან დასკვნა მომზადებულია	კვარტალურად	კომიტეტის ანგარიში
2.2	კომპეტენციის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიში. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს ანგარიში.	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე ბ. შარაძე ლ. აბსავა	ანგარიში განხილულია, ინფორმაცია საკომიტეტო მოსმენის შესახებ განთავსებულია საბჭოს ვებგვერდზე	2021 წლის საგაზაფხულო სესია, 2022 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომის ოქმი, მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია საბჭოს ვებ-გვერდი
2.3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის, თანდართული მასალებისა და რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	კანონპროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი განხილულია, დასკვნა მომზადებულია	2021 წლის საშემოდგომო სესია	კომიტეტის დასკვნა სხდომის ოქმი
2.4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური ანგარიშის განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე	ანგარიში განხილულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა, სხდომის ოქმი

სტრატეგიული მიზანი III: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა

№	განსახორციელებელი აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		შესრულების ინდიკატორი	შესრულების ვადა	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
3.1	უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული თანამდებობის პირების მიერ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დარღვევის საკითხის განხილვა და სათანადო რეაგირება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	საკითხები განხილულია, რეკომენდაციები გაცემულია, დარღვევები გამოვლენილია	საჭიროების შემთხვევაში	კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაციები
3.2	უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე	საკითხები შესწავლილია და დროული რეაგირება უზრუნველყოფილია, დარღვევები გამოვლენილია	პერიოდულად / საჭიროების შემთხვევაში	კომიტეტის დასკვნა
3.3	უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ სათანადო ორგანოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	წარმოდგენილი ინფორმაცია დამუშავებულია, დროული რეაგირება უზრუნველყოფილია	საჭიროების შემთხვევაში	კომიტეტის ოქმი დასკვნა
3.4	კომიტეტის სხდომაზე ფრაქციის მიერ დანიშნული კომიტეტის წევრის, მისი დამნიშვნელი ფრაქციის მიერ, ფრაქციის სხვა წევრით დროებით შეცვლის უფლების გამოყენების საკითხის განხილვა და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სათანადო რეაგირება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	საკითხი განხილულია	2021-2022 სესიების ბოლოს/ საჭიროების შემთხვევაში	კომიტეტის ოქმი დასკვნა
3.5	უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა აღრიცხვა, რომლებიც არ არიან არცერთი კომიტეტის შემადგენლობაში და სათანადო რეაგირება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	აღრიცხვაწარმოებს რეგულარულად	ყოველთვიურად	კომიტეტის დასკვნა
3.6	უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხის შესწავლა და განხილვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	დადგენილება მიღებულია	2021 წლის საგაზაფ-ხულო სესია	კომიტეტის დასკვნა
3.7	ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის მომზადება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე	დასკვნა მომზადებულია	2021 წლის საგაზაფ-ხულო სესია	კომიტეტის დასკვნა
3.8	კომიტეტებში და დროებით კომისიებში წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების, აგრეთვე ეთიკის საბჭოში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	კვოტები დამტკიცებულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის დასკვნა
3.9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრის ფარული კენჭისყრის ადგილის, ბიულეტენის ფორმისა და მისი შევსების წესის დადგენა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	ბიულეტენის ფორმა და მისი შევსების წესი განსაზღვრულია	2021 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის ოქმი, ბიულეტენი და შევსების წესი

სტრატეგიული მიზანი IV: გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესება

№	განსახორციელებელი აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		შესრულების ინდიკატორი	შესრულების ვადა	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
4.1	კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის წერილობითი ანგარიშის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	ანგარიში მომზადებული და წარდგენილია უმაღლესი საბჭოსთვის	საშემოდგომო სესია	კომიტეტის თავმჯდომარის წერილი კომიტეტის ანგარიში
4.2	უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე კანონპროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი კომენტარების გაანალიზება და კომიტეტის დასკვნებში ასახვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	ვებგვერდზე დაფიქსირებული კომენტარები რეგულარულად გაანალიზებულია	პერიოდულად	ანგარიშები ვებგვერდზე დაფიქსირებული კომენტარების პერიოდული ანალიზის შესახებ
4.3	მოქალაქეთა მიერ შემოსულ წერილობით კორესპონდენციაზე დროული რეაგირება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	წერილები განხილულია	რეგულარულად	გაცემული პასუხები
4.4	მოქალაქეებისთვის საინტერესო/ საჭირო საკითხებზე, საკონსულტაციო შეხვედრების წარმართვა კომიტეტის წევრთა და კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა ჩართულობით	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	გამართული შეხვედრა	საჭიროების შემთხვევაში	საოქმო ჩანაწერი
4.5	კომიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების (სხდომები, შეხვედრები, ღონისძიებები) შესახებ მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდისა და სოციალური არხების გამოყენებით	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე ლ. აბსავა ზ. თავბერიძე	ინფორმაცია მიწოდებულია	პერიოდულად	სოციალური არხები, ვებგვერდი
4.6	კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დაზუსტება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა	ინფორმაცია მიწოდებულია	2022 წლის საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში	განახლებული სამოქმედო გეგმა

4.7	კომიტეტის წლიური ანგარიშის წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ.აბსავა	შემუშავებული ანგარიში	2021 წლის საშემოდგომო სესია	წარდგენილი ანგარიში
4.8	კომიტეტთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და მუშაობის ორგანიზება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	საბჭო შექმნილია, კვარტალური შეხვედრები ტარდება	საშემოდგომო სესია	საბჭოს წევრთა სია საბჭოს დებულება შეხვედრების ოქმები
4.9	კომიტეტის სხდომების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ბ. შარაძე	ინფორმაცია მიწოდებულია, დაინტერესებული პირები მონაწილეობენ კომიტეტის სხდომებში	რეგულარულად	კომიტეტის სხდომის ოქმები მონაწილეთა სია
4.10	კომიტეტის საქმიანობის შესახებ მედიის წარმომადგენელთა დროული და რეგულარული ინფორმირება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	მასმედიის ჩართულობა პროცესებში	რეგულარულად	გაშუქებული ინფორმაცია
4.11	კომიტეტის მიერ დაგეგმილი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების დაინტერესებული პირებისთვის წინასწარ გაცნობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	ინფორმაცია დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ გაზიარებულია დაინტერესებული პირებისთვის	საჭიროების შემთხვევაში	დაინტერესებული პირების მიერ მოწოდებული წინადადებები, სხდომის ოქმები კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან

სტრატეგიული მიზანი V: ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება

№	განსახორციელებელი აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		შესრულების ინდიკატორი	შესრულების ვადა	ვერიფიკაციის წყარო
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
5.1	კომიტეტის წევრების თემატური პასუხისმგებლობების განსაზღვრა	კომიტეტის ყველა წევრი	პ. კეშელავა	ფუნქციები განსაზღვრულია	საჭიროების შემთხვევაში	კომიტეტის დასკვნა
5.2	კომიტეტის აპარატის თანამშრომლების ფუნქციების და ამოცანების განსაზღვრა, სამუშაო აღწერილობების განახლება	ვ. მგალობლიშვილი	პ.კეშელავა	ფუნქციები განსაზღვრულია	საგაზაფხულო სესია	განახლებული სამუშაო აღწერილობა
5.3	უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსთან კოორდინირებით აპარატის თანამშრომელთა გადამზადება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა	ტრენინგი ორგანიზებულია	2022 წელი	ტრენინგის მასალები მონაწილეთა სია
5.4	პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით აპარატის თანამშრომელთა გადამზადება	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა	ტრენინგი ორგანიზებულია	2021 წლის საშემოდგომო სესია, 2022 წლის საგაზაფხულო სესია	ტრენინგის მასალები მონაწილეთა სია
5.5	სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვა	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ლ. აბსავა	მონიტორინგის ინსტრუმენტი შემუშავებულია	სექტემბერი 2021	მონიტორინგის გეგმა
5.6	გარე ექსპერტებთან თანამშრომლობა თემატური საკითხების მომზადების პროცესში	ვ. მგალობლიშვილი	პ. კეშელავა ზ. თავბერიძე	ექსპერტის ჩართულობა უზრუნველყოფილია	საჭიროების მიხედვით	ტექნიკური დავალება ხელშეკრულება ექსპერტის დასკვნა